

საქმიანობის შესახებ

თემი ერთ-ერთი პირველი სოციალურად ორიენტირებული, არამომგებიანი საქველმოქმედო ორგანიზაცია იყო, რომელმაც არა-ინსტიტუციური გარემო შექმნა სოციალურად დაუცველთა სხვადასხვა ჯგუფისთვის. “თემის” **სოციალური მისიაა** მოწყვლადი ჯგუფის წარმომადგენლებისთვის ისეთი უსაფრთხო და წამახალისებელი გარემოს შექმნა, რომელიც ხელს შეუწყობს მათი ინდივიდუალური შესაძლებლობების განვითარებას. დაფუძნების დღიდან, 1991 წლის გაზაფხულიდან, თემი ორგანულ/ბიო - სოფლის მეურნეობას მისდევს, რომლის მიზანსაც სოციალურად დაუცველი მაცხოვრებლებისთვის თავშესაფრის მიცემა, ოჯახური გარემოს შექმნა, დასაქმების შესაძლებლობების გაჩენა და მათი სამუშაო უნარების გაუმჯობესება წარმოადგენს.

სოციალური საწარმოს პროდუქცია/სერვისი

სოციალური საწარმო მომხმარებელს რამდენიმე სახის პროდუქციას სთავაზობს. კერძოდ:

- **ქვევრის ბიო ღვინო: რქაწითელი(მშრალი) და საფერავი(მშრალი); თემის ნ/ტკბილი(წითელი)**
- **ჭაჭა**
- **ვაშლის, ბროწეულისა და ყურძნის ნატურალური წვენები**
- **სხვადასხვა ხილის ჯემები**
- **ხელნაკეთი საოჯახო ნივთები**

პროდუქტმა უკვე რამდენჯერმე მოიპოვა აღიარება Winexpo Georgia-ზე.

გარდა პროდუქტისა, თემი ტურისტულ ჯგუფებს სთავაზობს სხვადასხვა უნიკალურ გამოცდილებას.
ჩამონათვალშია:

- **ღვინის დეგუსტაცია და ქვევრის გახსნა**
- **ჩურჩხელის ამოვლება, ხინკლის მოხვევა**
- **რთველში მონაწილეობა (ყურძნის კრეფა/ დაწურვა) - სეზონური;**
- **ხალხური სიმღერები**
- **სრული სეზონის რესტორანი ტრადიციული ქართული და ევროპული კერძებით (მინიმუმ 45 ლარიანი მენიუ)**
- **ველოტურები მარკირებული მარშრუტებით (მაღალი ხარისხის 20 ველოსიპედი ჩაფხუტებით)**
- **თემის ტური**

სოციალური შედეგები

- თემში ოჯახურ და უსაფრთხო გარემოში ცხოვრობს და საქმიანობს მოწყვლადი ჯგუფის 49 წარმომადგენელი, რომლებიც იძენენ / ავითარებენ თავის მოვლის, სოციალურ და შრომით უნარებს
- თემის ხელშეწყობითა და მხარდაჭერით ბენეფიციართა ნაწილი საქართველოსა და უცხოეთის სხვადასხვა ქალაქში აგრძელებს დამოუკიდებელ ცხოვრებას (დასაქმებულია და/ან სწავლობს). მათ შორის რამდენიმემ მიიღო საუნივერსიტეტო განათლება

+995 551 927 623

contact@temi-community.org

https://www.facebook.com/TEMI.community/

სოფელი გრემი, კახეთის რაიონი, საქართველო